

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე

სხდომის ოქმი N17

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65

04.12.2019 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - ალექსანდრე ლილუაშვილი.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი: – ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, გელა ჩიკვაძე, ტარიელ ბარამიძე, რამაზ არველაძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, ეთერი ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, დავით ხარძეიშვილი, თამთა დვალიშვილი, თამარ შენგელია, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, ოლეგი მიქელთაძე, გია ხარაბაძე, ივანე კორძაძე, შალვა ლორთქიფანიძე, ამირან ტალახაძე, გელა ღვიტიძე, სანდრო ხურციძე, შოთა გიორგაძე, გია ოჩხიკიძე, აპოლონ რამიშვილი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გელა ვარდოსანიძე, კობა მაგნიძე, მალხაზ ცერცვაძე, ბიჭიკო პაიკიძე, რობიზონ ფუტყარაძე, პაატა ხურციძე, ვარლამ გიორგაძე, თენგიზ დვალიშვილი, მერაბ ხურციძე, დავით ადეიშვილი, დავით კაკაბაძე, თორნიკე ერისთავი. (დანართი N1)

სხდომას ასევე ესწრებოდა:

საკრებულოს აპარატის უფროსი - **კობა მაღლაკელიძე.**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი - **ლუიზა ჯოგლიძე.**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში - **ლუბა გოგოძე.**

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო -საბიუჯეტო სამსახურის უფროსი -**ივანე მამფორია.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი - **ზვიად კაპანაძე.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი -**მიხეილ სვანაძე.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არტიტექტურის სამსახურის არქიტექტურის განყოფილების უფროსი -**დაზმირი გოგორიშვილი.**

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 14⁰⁰ საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N125 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“.

მომხს.ივანე მამფორია

2. „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 10 ნოემბრის N49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხს: დაზმირი გოგორიშვილი

3. „ვანის მუნიციპალიტეტის დიხაშხოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ისრითის N1 და N2 ქუჩებისათვის გრიგოლ ლორთქიფანიძის სახელის მინიჭების შესახებ“.

მომხს: გელა ჩიკვაიძე

4. „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩა N 65-ში, 3295 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს.კ 31.01.26.068) განთავსებული შენობა-ნაგებობის, პირველ სართულზე მდებარე 7.3 კვმ ფართის სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახური“- სთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“

მომხს: ზვიად კაპანაძე

5. „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩა N 63-ში, 573 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს.კ 31.01.26.219) განთავსებული შენობა-ნაგებობის, მეორე სართულზე მდებარე 29 კვმ ფართის სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტო“-სთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“.

მომხს: ზვიად კაპანაძე

6. „მზრუნველობამოკლებულ მოქალაქეთა უფასო სასადილოს 2019 წლის მენიუს დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N27 70 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.“

მომხს. მიხეილ სვანაძე/

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ტარიელ ბარამიძემ (ივანე მამფორიას საპატიო მიზეზით არყოფნის გამო) წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N125 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტში ცვლილების საჭიროება განპირობებულია 2018 წლის 31 დეკემბრის N2577 განკარგულებაში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ შეტანილმა ცვლილებამ, რის შედეგადაც მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხა შემცირდა 3837,3 ათასი ლარიდან შედეგად 3830,7 ათას ლარამდე, 6,6 ათასი ლარით. ასევე ცვლილება შევიდა 2019 წლის 15 მარტის N554 განკარგულებაში, ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“, რის შედეგადაც მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხა შემცირდა 129,9 ათასი ლარიდან 112,6 ათას ლარამდე, 17,3 ათასი ლარით.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვეტის: დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N125 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე”.

(დანართი: დადგენილება N 24).

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა დაზმირი გოგორიშვილმა წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 10 ნოემბრის N49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შევიდა ცვლილება დადგენილებაში და წარმოადგინა ეს ცვლილებები:

„ მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის განაკვეთის ოდენობა ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე განისაზღვროს ახალი ასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობის მიხედვით:

ა) ქალაქის ტერიტორიაზე:

ა.ა) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე 1 კვ. მეტრზე 0,5 ლარი;

ა.ბ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტებზე 1000 კვ. მეტრამდე 2 (ორი) ლარი ყოველ 1 კვ. მეტრზე, ხოლო 1000 კვ. მეტრს ზემოთ 1 (ერთი) ლარი ყოველ 1 კვ. მეტრზე;

ა.გ) სხვა შენობა-ნაგებობებზე, მათ შორის კომერციულ და სამრეწველო საქმიანობის შენობა-ნაგებობებზე 1 კვ. მეტრზე 2 (ორი) ლარი.

ბ) სოფლების ტერიტორიაზე:

ბ.ა) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე 1 კვ. მეტრზე 0,2 ლარი;

ბ.ბ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტებზე 1000 კვ. მეტრამდე 2 (ორი) ლარი ყოველ 1 კვ. მეტრზე, ხოლო 1000 კვ. მეტრს ზემოთ 1 (ერთი) ლარი ყოველ 1 კვ. მეტრზე;

ბ.გ) სხვა შენობა-ნაგებობებზე, მათ შორის კომერციულ და სამრეწველო საქმიანობის შენობა-ნაგებობებზე 1 კვ. მეტრზე 1 (ერთი) ლარი;

გ) ხაზობრივი ნაგებობის მშენებლობის შემთხვევაში, ახალ ასაშენებელი ობიექტის პროექტის გათვალისწინებული თითოეული გრძივი მეტრისათვის 1 (ერთი) ლარი.

დ) ისეთი შენობა-ნაგებობის (გარდა ხაზობრივი ნაგებობისა) მშენებლობის შემთხვევაში, რომელსაც არ აქვს განაშენიანების ინტენსივობის (კ-2) საანგარიშო ფართობი, მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვროს მე-2 კლასის ობიექტებისათვის 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, მე-3 კლასის ობიექტებისათვის - 200 (ორასი) ლარის ოდენობით, ხოლო მე-4 კლასი ობიექტებისათვის - 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 23

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 10 ნოემბრის N49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

(დანართი: დადგენილება N 25)

მოისმინეს:

დღის წერიგით წარმოდგენილ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის დიხაშხოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ისრითის N1 და N2 ქუჩებისათვის გრიგოლ ლორთქიფანიძის სახელის მინიჭების შესახებ“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამ პროექტმა გაირა ყველა სამართლებრივი ინსტანცია და გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის 2019 წლის 04. 11. N 18 სხდომის ოქმის ამონაწერის შესაბამისად ისრითის N1 და N2 ქუჩებს მიენიჭოს გრიგოლ ლორთქიფანიძის სახელი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 23

წინააღმდეგი –არცერთი.

გადაწყვეტეს: დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის დიხაშხოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ისრითის N1 და N2 ქუჩებისათვის გრიგოლ ლორთქიფანიძის სახელის მინიჭების შესახებ“.

(განკარგულება N 27 52)

მოისმინეს:

დღის წერიგით წარმოდგენილ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩა N 65-ში, 3295 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს.კ 31.01.26.068) განთავსებული შენობა-ნაგებობის, პირველ სართულზე მდებარე 7.3 კვმ ფართის სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახური“- სთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მოსახლეობის იურიდიულად დახმარების მიზნით იხსნება „იურიდიული დახმარების სამსახური“ და გამოიყოფა ამ სამსახურისთვის 7.3 კვმ ფართი თავისუფლების ქ. N65-ში განთავსებულ შენობაში.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 23

წინააღმდეგი –არცერთი.

გადაწყვეტეს: დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩა N 65-ში, 3295 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს.კ 31.01.26.068) განთავსებული შენობა-ნაგებობის, პირველ სართულზე მდებარე 7.3 კვმ ფართის სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახური“- სთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“

(განკარგულება N 27 50)

მოისმინეს:

დღის წერიგით წარმოდგენილ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩა N 63-ში, 573 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს.კ 31.01.26.219) განთავსებული შენობა-ნაგებობის, მეორე სართულზე მდებარე 29 კვმ ფართის სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტო“-სთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში „ეროვნული სატყეო სააგენტო“-მ დატოვა მისთვის განკუთვნილი შენობა და თავისუფლების ქ. N 63-ში გამოეყოთ სამუშაოდ 29 კვ.მ. ფართი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 23

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვეტეს: დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩა N 63-ში, 573 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს.კ 31.01.26.219) განთავსებული შენობა-ნაგებობის, მეორე სართულზე მდებარე 29 კვმ ფართის სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტო“-სთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“.

(განკარგულება N 27 51)

მოისმინეს:

დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მიხეილ სვანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „მზრუნველობამოკლებულ მოქალაქეთა უფასო სასადილოს 2019 წლის მენიუს დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N27 70 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამ პროექტში არის ერთი ცვლილება. კერძოდ, სათაურში ამოღებული იქნება მითითებული წელი და სანამ კიდევ რაიმე ცვლილება შევა სათაური ჩამოყალიბდება შემდეგნაირად „მზრუნველობამოკლებულ მოქალაქეთა უფასო სასადილოს მენიუს დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N27 70 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.“

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 23

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება „მზრუნველობამოკლებულ მოქალაქეთა უფასო სასაბუღალტრო 2019 წლის მენიუს დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N27 70 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.“

(განკარგულება N 27 53)

საკითხების ამოწურვის შემდეგ საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის თავმჯდომარე